„Иверія" (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფერით ჩამოირჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წყრინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—32)

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

**ბრძოლა**

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემსაზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

რომ კავკავის ქართულის სკოლის უფროსის მასწავლებლის (III და IV განყოფილებისა) ადგილი დაცლილია. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა შემოიტანოს თხოვნა გამგეობის სახელზე 10 მარიამობისთვემდე. მასწავლებელს აქვს ჯამაგირი 400 მანეთი, სახლი, შეშა და სანთელი; ჰყავს მსახურიც. სადმრთო სჯულისა და გალობის სწავლებისთვის დანიშნულია ცალკე ჯამაგირი. (10—10)

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 5 ივლისს დილით ხოლერით ავად იყო 20 კაცი და 2 ქალი; იმავე დღეს მიიყვანეს ერთი კაცი—ტერხოვი (8 ნაწილი). იმავე დღეს გარდაიცვალა 2 კაცი: ჰუსეინ-ოღლი და ასტვა/კატუროვი; 5 ივლისს საღამოთი ავად იყო 19 კაცი და 2 ქალი, ამათში 14 კაცი უკვე რჩება. 5 ივლისს ღამე სამკურნალოში მიიყვანეს გრიქუროვი (6 ნაწილი, ვარანცოვის ქუჩა, ადელხანოვის ქარხანა) და ერთი ქალი—სარქისოვისა (6 ნაწილი). სარქისოვისა იმავ ღამეს გარდაიცვალა. 6 ივლისს დილით მიხეილის სამკურნალოში იყო 20 კაცი და 2 ქალი.

2 ივლისს 5 ნაწილში ავად გამხდარი დარია ხუდადოვისა, რომელსაც შინა სწამლობდნენ, 5 ივლისის ღამეს გარდაიცვალა.

4 ივლისს ავად გახდა საეჭვო ავადმყოფობით რკინის გზის მატარებლის ლუმელის გამთბობი მაქსიმე თოვაძე და რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს; სამკურნალოში გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ თოვაძე ხოლერით არა ყოფილა ავად.

5 ივლისს სამღებრო ქუჩის ზემოდ მღვდლის მატინიანცის სახლში ავად გახდა ხოლერით ვაჭარი ოჰანეზ აბრამიანცი. ავადმყოფს შინა სწამლობენ.

4 ივლისს ღამე მეექვსე ნაწილში, საკუთარს სახლში გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქეს შვილი, გრიგოლ აკოფის ძე არუთინოვი.

5 ივლისს შუაბაზარში, პანიევის სახლში გარდაიცვალა ხოლერით ოქრომჭედელი აბდულ-ოღლი.

5 ივლისს ხოლერით ავად გახდა მარიამ შიშნიევისა (7 ნაწილი, ფანუზოვის სახლი). ავადმყოფს შინა სწამლობენ.

7 ნაწილში 3 ივლისს ავად გამხდარი თაქოა თუმაზაშვილისა 5 ივლისს გარდაიცვალა.

5 ივლისს ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა 7 წლის ყმაწვილი არამ გეურქას ძე ოლაღოვი (7 ნაწილი, კახეთის ქუჩა, ოლაღოვის სახლი).

5 ივლისს ხოლერით ავად გახდა ტფილისის მოქალაქე ტიგრან ოჰანეზოვი (სურბ-კარაპეტის ხევი, სახლი № 22).

5 ივლისს საღამოთი ხოლერით ავად გახდა ბარბარე მერჟეევსკაია (ალექსანდრეს ქუჩა, № 52).

5 ივლისს საგუბერნიო საპატიმროდგან მეტეხის ციხის სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერიანი პატიმარი კონსტანტინე დელოვი.

4 ივლისს ავად გახდა ხოლერით ანდრია სტეფანაშვილი, 39 წლისა (3 ნაწილი, ვანქის ვიწრო ქუჩა, № 23). ავადმყოფს შინა სწამლობენ.

თიონეთში გასჭრეს გვამი ერთის გლეხისა, რომელიც ტფილისიდგან მისულა და იქ გარდაცვლილა. აღმოჩნდა, რომ ეს გლეხი ხოლერით ყოფილა ავად.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 4 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 29, გარდაიცვალა 24, მორჩა 23, ავად არის 121. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 17. ბაქოს მიდამოებსა და მთელს გუბერნიაში ავად გახდა 85, გარდაიცვალა 63, მორჩა 6. სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 1, კიდევ 27 ავადმყოფია.

*** 5 ივლისს კავკასიის მთავარმართებელმა ს. ა. შერემეტიევმა და ტფილისის გუბერნატორმა გ. დ. შერვაშიძემ დაათვალიერეს ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალო, რომელსაც სპარსელებისთვის აშენებენ.

*** 6 ივლისს სპარსეთის ელჩმა მირზა-რიზა-ხანმა ინახულა საქართველოს ეგზარხოსი პალადი და გულითადი მადლობა გამოუცხადა მისთვის, რომ მან უსასყიდლოდ მისცა სპარსელებს საეკკლესიო ადგილი სამკურნალოს გასამართავად.

*** ქალაქის მოურავმა დაავალა მეთერთმეტე დასს, რომელსაც ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე ჰმეთაურობს, ნავთლუღის დაწმენდა-დასუფთავება.

*** ბ-ნმა ადელხანოვმა დიდი ყურადღება მიაქცია თავის ტყავის საკეთებელ ქარხანაში მომუშავეთ. მუშებს ყოველ დღე ეძლევათ უსასყიდლოდ ცხელი წვენი და ხორცი და აგრეთვე ჩაი და ადუღებული წყალი. ამას გარდა ადელხანოვმა ქარხანაშივე გამართა საკუთარი ფურნე. ქარხანაშივე ყოველ დღე დეზინფექციას ახდენენ. თუ ვინიცობაა ავად გახდა ვინმე, წამლებს უსასყიდლოდ მისცემენ. ქარხანაში მიწვეულია მკურნალი კარაპეტიანცი და ფერშალი. სასურველია, რომ სხვა ქარხნების პატრონებმაც მიჰბაძონ ბ-ნ ადელხანოვს და მუშა ხალხი უყურადღებოდ არ დასტოვონ განსაცდელის დროს.

*** ქალაქ ხარკოვიდგან კავკასიაში გამოგზავნილი მკურნალი, ბ—ნი ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად 30 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა და მეორე დღესვე გაემგზავრა ბაქოს, მაგრამ გზაში საცოდავი ჰკუაზედ შეიშალა. სადგურ სანგაჩალის უფროსს უმტკიცებდა, რომ ბაქოში ხოლერა არ არის, ექიმებმა თითონ მოიგონეს ეს ხოლერაო და სხვა. მკურნალი ბ—ნი ისევ ტფილისში ჩამოიყვანეს.

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

სახლების აღმაშენებელი საზოგადოება.— როგორაა საზღვარ-გარედ.

მაისის გასულს კრება ჰქონდა ჩვენს საზოგადოებას სახლების აღმაშენებელისას. გაზეთებში ამ კრების შესახებ ანგარიში არ იყო გამოცხადებული, რადგანაც კრებას განსახილველი ჰქონდა სხვა-და-სხვა შინაური საქმეები, რომელთა გამოქვეყნება ჯერ-ჯერობით უდროოდ მიაჩნდა. ჩვენც ნუ გავერევით მისს შინაურს საქმეებში, ვიდრე საზოგადოება ისეთს მკვიდრს ნიადაგზედ არ მოიკიდებს ფეხს, რომ მისი შეფერხება არ შეეძლოს არც ხელ-მოკლეობას და არც სხვა რასმე. საკმარისია ამ ხელად ვიცოდეთ, რომ ხსენებულ საზოგადოების წევრთა რიცხვი ორმოც-და-ათზედ ცოტა მეტია. ადვილად გასაგებია, რომ ვიდრე წევრთა ეს რიცხვი სამათა და ოთხად არ იმატებს, მანამდე საქმის განხორციელება ძნელი გასაბედი იქნება. თუმცა ამასთანავე ისიც საფიქრებელია, რომ ვიდრე ჩვენი კაცი განხორციელებულს საქმეს არ დაინახავს, მანამდე სიტყვითა და ჩაგონებით მაგდენს ვერას გააწყობს საზოგადოება. ამ სახით, გამოდის, რომ საქმე რიცხვზეა დამოკიდებული და რიცხვი კიდევ საქმეზედ. ჩვენ ეხლა ის-ღა დაგვრჩენია, ვინატროთ, რომ ტფილელ ქართველთა შორის აღმოჩნდნენ იმისთანა კაცნი, რომელნიც აზრით შეიგნებენ, რამდენად ადვილი განსახორციელებელია ის საგანი, რომელიც თავს იდვა სახლების აღმაშენებელმა საზოგადოებამ, და რა-კი ამას შეიგნებენ, მხარსაც მისცემენ საქმეს, რომლის გაძლიერება, უეჭველია, ჩვენს დაქვეითებულს მოქალაქე ქართველობას ცოტაოდნად მაინც წელში გაჰმართავს.

ამას წინად დავპირდი მკითხველს, რომ ცნობებს მოვიყვან იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული აღმაშენებელ საზოგადოებათა საქმე საზღვარ-გარედა-მეთქი. ეხლა ვასრულებ ჩემს დანაპირებს ® იმედიცა მაქვს, რომ მკითხველი დაინახავს იმ სიადვილეს, რომელსაც წარმოადგენს თითქმის ყოველივე საქმე, დაწყებული და წარმართული არა თითო კაცის მიერ, არამედ საზოგადოების თაოსნობით.

**

მე ხელთა მაქვს წიგნი, დაბეჭდილი გენერალ ანნენკოვის განკარგულებისამებრ. ამ წიგნს სახელადა ჰქვიან „Домики для рабочихъ". წიგნში შეკრებილია ცნობანი იმის შესახებ, თუ როგორ მიდის სახლების აღმაშენებელ საზოგადოებათა საქმე საზღვარ-გარედ. ამ ცნობებიდგანა ვხედავთ, რომ საზღვარ-გარედ სახლების აღმაშენებელი საზოგადოებანი დაარსებულან თავდაპირველ საქველ-მოქმედო განზრახვით. საშინელს ყოფაში არიან ჩაცვივნულნი იქაური მუშები, რომელთაც თავის სარჩენად ქვეყანაზედ არა აბადიათ-რა, არც სახლი, არც კარი, არც მამული და არც დედული და რომელთა ერთად-ერთი იმედი არის საკუთარი შრომა. ამ შრომის ფასით უნდა იხადონ ყოველ გვარი სახელმწიფო და საეკკლესიო ხარჯი, იქირავონ სადგომი, ჩაიცვან, დაიხურონ, იცხოვრონ თითონ და აცხოვრონ თავიანთი სახლობა. გახდა მუშა-კაცი ავად, უმტყუნა ჯანმა, და კიდეც დაიღუპა ოჯახი. თავშესაფარსაც-კი ველარსად იშოვნის ასეთი უბედური ადამიანი, სამოწყალოდ უნდა გამოიწოდოს ხელი და ისე დაასრულოს თავისნი დღენი. ამ გვარმა უნუგეშო ყოფამ მუშებისამ მიიქცია ყურადღება მთელის ევროპისა და აგერ თითქმის სამოცი წელიწადი სრულდება, რაც ყოველი პატიოსანი მოღვაწე დაწინაურებულ ქვეყნებისა სულ იმის ფიქრშია, თუ რა წამალი და ან როგორ უნდა დასდოს ასეთს წყლულს კაცობრიობისას და რა გზით გამოიყვანოს მუშა ხალხი ამ საშინელ ყოფა-ცხოვრებიდგან.

რომელმა ჭკვიანმა კაცმა რა ღონე უჩვენა ქვეყანას ხსენებულ უბედურების მოსასპობლად, ჩვენ ეხლა ამას ვერ გამოვეკიდებით, რადგან საგანი ფრიად ვრცელია და ძალიანაც შორს წაგვიყვანს. დავასახელებთ მხოლოდ ერთს საშუალებას, რომელიც შეეხება ჩვენ მიერ აღებულს საგანს და რომელიც სხვათა შორის ცნობილია ერთ-ერთ საუკეთესო ღონედ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

როგორცა ვსთქვით, სახლების აღმაშენებელი საზოგადოებანი თავდაპირველ ხელმძღვანელობდნენ საქველმოქმედო აზრით. შეადგენდნენ თანხას, აშენებდნენ დიდრონ სახლებს, კარგად მოწყობილ სადგურებით, და შიგ იაფ ფასად აცხოვრებდნენ გაჭირვებულ მუშათა სახლობას. ამისთანა საზოგადოებათა წყალობით ერთს ნაწილს გაჭირვებულ მუშებისას ჰქონდა სუფთა და სახეირო თავშესაფარი, ნაკლება ჰხდებოდა მსხვერპლად ავადმყოფობისა, რომელიც თანა სდევს

*** ამ მოკლე ხანში ტფილისში კიდევ სამი უფასო სახაიე გაიმართება: ერთი ავლაბარში, მეორე ნავთლუღში და მესამეც—ფეთხაინის ეკლესიის ახლო.

*** ცხენის რკინის გზის ვაგონებს ამ ჟამად სულეიმით (საწამლავია) აპკურებენ ხოლმე. ამიტომ ვურჩევთ ყველას, ხშირად დაიბანოს ხოლმე ხელები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვაგონიდგან გადმოვა და აგრეთვე საჭმლის მიღების წინად.

*** ზესტაფონი: აქ დღითი-დღე ვრცელდება ხოლერის ამბავი. ყოველ დღე შავის ქვის ურმები მოდის, სულ რომ შევამციროთ, ორი ათასიდგან სამ ათასამდე. რასაკვირველია, ამდენს ხალხს მოჰყვება ყოველივე უწმინდურება. ზესთაფონში რომ უქმე დღესაც მობრძანდეთ, ამას იტყვით, რომ დღეს შავი ორშაბათი უნდა იყოსო, მეტი გარჩევა არა აქვს უქმე და საქმე დღეს. სულ რომ დაახლოვებით ჩავაგდოთ, მარტო შავის ქვის მუშა არის ორას კაცამდე, რომელთაც არა აქვთ იმდენი დრო და დასვენება, რომ კვირა-უქმე დღეს მაინც გაიწმინდონ და ჭუჭყიანი ტანისამოსი გამოიცვალონ. ამას წინად იყო გამოცხადებული, რომ კვირა-უქმე დღეს არ შეიძლება ურმისა და აგრეთვე ჩავლადრის ბაზარში შემოშვებაო, რის გამოც დიდად მოხარულნი იყვნენ მუშა-ხალხიც და შავის ქვის მოვაჭრენიც, მაგრამ რა გამოვიდა, სულ არ დაუცავთ ეს წესი თვით პოლიციის მოხელეებს ერთს თვესაც. ეხლა იმედია ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას და კვირა-უქმე დღეს დაიცავენ. როგორც შევიტყეთ, ტფილისში ლიტანიით დადიან ქუჩებში და ჩვენ-კი დროს არ გვაძლევენ, რომ წირვა მოვისმინოთ და პირჯვარი გადვისახოთ.

*** ქვემო-მაჩხაანი: აქ გაიმართა წარმოდგენა ქვემო-მაჩხაანის სათეატრო დარბაზის ფონდისათვის. წარმოადგინეს „ბაიყუში“ და წაიკითხეს სცენები და ლექსები ჩვენის პოეტ-მწერლებისა. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ-ნძა თ. მენთეშიშვილმა მ. ბენაშვილმა, დ. ნადირაძემ, ლ. ყანჩაველმა და ა. ნადირაძემ. ღარიბი მდაბიო ხალხი უფასოდ იყო მოწვეული. ქვემო-მაჩხაანის ახალგაზდობა კიდევ აპირებს ამ მოკლე ხნისათვის წარმოდგენას იმავე საქმის სასარგებლოდ და იმედიც არის, მრავალი ხალხი დაესწრება გარშემორტყმულ სოფლებიდგან, თუ-კი ხოლერამ თავი არ იჩინა ჩვენშიაც.

*** ზარის ოსეთი: აქეთ გაცხარებული თიბვა-მკა არის. ქერების მკა გათავდა და თან თიბვა და პურების მკაც მოჰყვა. ბარის ოსებში კვლავინდებურად მთებიდგან სამუშაოდ ხალხი წელს ხშირად არ ჩამოდის და ამიტომ მუშის დღიურმა ქირამ მეტად აიწია, მანეთ ორ შაურიდგან ექვს აბაზამდეა დღიური მუშა, ოლონდ-კი შოვნა იყოს. სოფლებს ხუმელაგაში და ყოყადურში ამ ჟამად წითელა მძვინვარეას, თუმცა ჯერ-ჯერობით დიდს ზარალს არ იძლევა. აქეთკენ ცის ქუხილსავით მოედო საზარელი ხოლერის ხმა. ხალხი დიდს საფიქრებელშია, მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობისაგან სოფლად არაფერი განკარგულება არ არის ხოლერის გაფრთხილების შესახებ. ციებით რომ ავად გახდეს ვინმე, მაშინვე მისი ეჭვი აქვთ, უსათუოდ ხოლერით არის ავადაო. ამ უვიცს ხალხს დარიგება უნდა, რადგან ზოგზოგს სოფლებში, მაგალითებრ ოლგინსკაში, რაღაც ფალარათობა დადის. ოსებში შიშის ზარია მოდებული, უსათუოდ ხოლერა არისო.

*** ჟანდარმების შტაბ-როტმისტრს ბ-ნ პატარაკის ბაქოში დეპეშით აცნობა აჯი-ქაბულის მკურნალმა ნ. სმირნიცკიმ, რკინის გზის მმართველობის განკარგულებით სადგურ აჯი-ქაბულში მუშებისთვის გამოგზავნილი პური სრულიად უვარგისი აღმოჩნდაო. ამ პურის გამგზავნელი იჯარადარი სამართალში იქნება მიცემულიო („Каспій“).

*** 6 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, პოლიციის პირველს ნაწილში იპოვნეს ქქვსის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვს ბარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ეწერა: „ვინც ეს ბავშვი იპოვოს, გთხოვ მოხათლოს მართლმადიდებლის წესით“. ბავშვი საზრდო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** ამ თვის 5 ფილიპანდაშვილის ქუჩაზედ სოფ. ზოდისის მცხოვრებელი ლევან კოჩლამაზაშვილი წაეჩხუბა სოფ. წინეთის მცხოვრებელს, გიორგი გელდურის და დანით მუცელში დასჩრა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

*** ამავე დღეს მუშტაიდის ალაყაფის კარებთან იოსებ იგიტოვმა ცხენი დააჯახა ხელში ბავშვ-აყვანილს ყაზახის ცოლს პრასკოვია იურიოვს და წააქცია. ქალი მსუბუქად დაშავდა. დამნაშავე პასუხის-გებაში მისცეს.

*** 5 ივლისს პოლიციის მეათე ნაწილში რკინის გზის რკინას საკეთებელ ქარხანის მახლობლად სოფ. ქიტორელის მცხოვრებელმა მოსე რუხაძემ ჩხუბის დროს ლოყაში ხანჯლით დასჩრა სოფ. ჩაგანის მცხოვრებელი სპირიდონ პრონგიშვილი. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავეს დაეძებენ.

*** 6 ივლისს პოლიციის პირველს ნაწილში ზლობინის სახლში მცხოვრებელმა სამთო ინჟინერმა მახეილ ივანეს ძემ განგერმა პოლიციაში განაცხადა, რომ 4 ივლისს ღამით ჩემის სადგურის ავინდგან 40 მან. ღირებული ხაბადი და სხვა ტანისამოსი მომპარესო.

*** 5 ივლისს გრიბოედოვის ქუჩაზედ გნ. სალომე აბაშელიძოვის სახლში მოუპარავთ 5 დიდი ხალიჩა, ერთი ქალის ქურქი, ერთი პოდნოსი, საკერავი მანქანა და სხვა წვრილმანი ხივთეულობა, სულ. 800 მანეთისა. ქურდობა იმისსავე მოსამსახურეს პიტა სარქისოვს დაბრალდა, რომელიც უკვე შეიპყრეს.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

ხარისხი ებოძა:

უმართებულესის სინოდის 1892 წლის 22 თებერვლის მე-25 №-რის ბრძანებით, სამსახურის წელთა შესრულების გამო, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს სერგეი ფარეიშვილის ებოძა გუბერნსკი სეკრეტრობა უფროსობით 1883 წლის 10 სექტემბრიდგან.

ახალს თანამდებობაზედ დანიშნულ იქნენ:

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის 1892 წლის 12 მარტის დადგენილებით, ტფილისის მაზრის საბლაღოჩინო მე-III ნაწილის ბლაღოჩინი, მღვდელი ნიკოლოოზ დავითაშვილი, გადაყენებულ იქმნა ბლაღოჩინის თანამდებობიდგან და იმის მაგიერად ამ თანამდებობაზედ დაინიშნა ჯვიმითის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი იოსებ შიშნიაშვილი.

ხორხის სამრევლოს მღვდელი იასე გელაძე, დუშეთის მაზრის მე-III საბლაღოჩინო ნაწილის სამღვდელოების არჩევნის თანახმად, დამტკიცებულ იქმნა ამ ნაწილის მოძღვართა-მოძღვრად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

მთა (საქართველოს სამხედრო გზები), 29 ივნისი. როგორც გაზეთების საშუალებით, ისე სხვა-და-სხვა მილეთის ხალხის ნაამბობიდგან საკმაოდ ვუწყით ჩვენცა, დღეს რა წერადაც შემოდგა ფეხი ჩვენს საქართველოს ზოგიერთს საზღვრებზედ მეტად მძლავრმა და ხალხის შეუბრალებელმა მტერმა, ხოლერამ ანუ ხორაშნელამ (ხორაშნელას იმიტომ ვეძახით, რომ ამისთანა სიკეთე არა ერთხელ სწვევია საქართველოს სპარსელებისაგან). ხორაშნელასაგან, როგორც ვიცით, ბაქო დღეს მიწასთან გასწორებულია, ცოცხალ მკვდარი-და არის დატოვებული და, ჩვენდა სამწუხაროდ, თვით ჩვენს დედა ქალაქსაც—ტფილისსაც სწვევია ეს მეტად ულმობელი და ღვთის პირით წყეული მტერი. სამწუხაროდ, ხოლერას იარაღად და გზის მაჩვენებელს ამხანაგად გახდომია თიბათვისა, მკათათვის და მარიამობისთვის მძიმე ჰავა და სიცხეები და მასთან სოფლური მეურნეობა, რომელიც სნეულებას ხელს შეუწყობს და დიდს შეღავათს მისცემს მის სოფლებში გავრცელებას; თიბვა, მკა, ლეწვა და სხვა მძიმე სოფლური მუშაობა ხომ მასალაა მისი. ამ მხრით ბევრნაირს შიშს უქადის ჩვენს მივარდნილსა და მიყრუებულს სოფლებს, მეტადრე იმ სოფლებს, სადაც სწავლით და მეცნიერებით მეტად უკან ჩამორჩენილნი არიან.

ღმერთმა-კი დაგვიხსნას და თუ სოფლელებს ხოლერა გვეწვია, მაშინ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ათ წილად ძვირად დაუჯდებათ ამ ბოროტის სტუმრის გამასპინძლება, ვიდრე ქალაქელებს. ძვირად დაუჯდება იმითა, რომ, ჯერ ერთი სოფლელმა ხალხმა ქალაქის ხალხთან შედარებით ბევრად უსუფთაო ცხოვრება იცის; მეორე, სანიტარული წესებიც სოფლად ნაკლები არის დაცული; მესამედ, სოფლად არას დროს და არსად ისე გულ-მოდგინედ არ მოიქცევიან და არ შეასრულებენ მკურნალები თავისს მოვალეობას, როგორც ქალაქებში; მეოთხედ, ისიც ხოლერაზედ ნაკლები სენი და უბედურება არ იქნება ქვეყნისათვის, თუ სნეულობის მიზეზით მეურნეობა შესუსტდა იმისთანა სოფლებში, სადაც არა მარტო იმ ადგილის მკვიდრნი იკვებებიან და ირჩენენ თავს თავისის ნაწარმოებით, არამედ თვით ჩვენი ქალაქები და უმოსავლიანო სოფლებიც-კი იმათის მოსავლით საზრდოობენ...

საჭიროა ჩვენის სოფლებისთვის, ვიდრე დრო გვაქვს, თვით სოფლელებმავე უშველონ თავის თავს და შეებრძოლნენ იმ მავნებელს სენს, რომელზედაც უარესი სოფლელის ხალხის თავს არცა რამ მოსულა და არცა რამ მოვა, თორემ მარტო ადმინისტრაციის მხრით მიღებული ღონისძიებანი სოფელს ვერც ააცილებს ამ სენსა თავიდგან და, თუ გავრცელდა, ვერც ფრთებს შეაკვეცს. ადმინისტრაციას დღეს დღეულათ ვერას ვუსაყვედურებთ, რადგანაც ამ შემთხვევაში ხოლერის საბრძოლველად ხალხში ფიცხელი ღონისძიებანი აქვს მიღებული ჩვენს დუშეთის მაზრაში და იქნება არა ვსცდებოდე და სხვა მაზრებშიაც ასევე იყვეს, მაგრამ რას იზამს მარტოდ-მარტო ადმინისტრაციის ბრძოლა, თუ თვით სოფელი და მისი წარმომადგენელნი არ იქნებიან ფხიზელნი თავის თავის დაცვისათვის? არ ვიცი რა უბედურება არის ჩვენის სოფლების თავსა? სამწუხაროდ, სოფელი მთავრობის წარმომადგენელებს, მაგალითად, მკურნალებსა და ზოგზოგს მოხელეებს დაშორებულია და ეს უკანასკნელნიც

---

უსუფთაო სახლსა. მაგრამ ძნელი ის იყო, რომ მუშებს მაინც საკუთრად არა ჰრჩებოდათ-რა, სახლები მაინც საქველმოქმედო სასოგადოებისა იყო. თანდათან გამოირკვა საქმე და ხსენებული საზოგადოებანი დაადგნენ იმ აზრს, რომ რა-კი მუშა-ხალხი იხდის სადგომის ქირას, შევაძლებინოთ, რომ ქირით როგორმე გამოისყიდოს თავისი სადგური და ამ სახით როდისმე მაინც შეიქმნეს იგი უძრავ საკუთრების პატრონადაო.

რა-კი ასეთი ნაყოფიერი აზრი დატრიალდა, ამას აღსრულებაც უნდა მოჰყოლოდა. აღმაშენებელ საზოგადოებათა გარდასწყვიტეს, რომ თავიანთის ფულით იყიდონ მიწა, ააშენონ ზედ პატარ-პატარა სახლები თავ-თავიანთის ეზოებით და, შეძლებისამებრ, ბაღჩებით, დააყენონ შიგ მუშები და დაუნიშნონ ისეთი ქირა, რომლის გადახდით სწყდებოდეს დახარჯული ფული, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში საზოგადოებამ უკანვე დაიბრუნოს თავისი დანახარჯი და მუშას-კი დარჩეს ხელ-შეუხებელი უძრავი საკუთრება, რომელიც შეღავათს მისცემს მას სიბერეში და მის შვილებს შეაძლებინებს უკეთესად ცხოვრებას, ვიდრე მათი მშობლები სცხოვრობდნენ. ეს აზრი ისეთი ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მუშებს საქველმოქმედო აღარა უჭირთრა დღეს ამ მხრივ. პირ-იქით, ისინი თავნ ფულსაც უკანვე აძლევენ საზოგადოებას და 5°/₀ სარგებელსაც იხდიან თავნზედ დიდის მადლობით.

**

თუმცა ინგლისისთანა მდიდარი ქვეყანა სხვა ჯერ არ მოიპოვება დედამიწის ზურგზედ, მაგრამ ამასთანავე ვერსად ვერ შეჰხვდებით ისეთს სიღარიბესა და სილატაკეს, როგორც ბედს ურგუნებია ინგლისის უსახლკარო, უმამულ-დედულო უმრავლესობისათვის. მიზეზიც ეს საშინელი სიღარიბე იყო, რომ ყველაზედ ადრე ინგლისში დაიბადა აზრი მუშათათვის სახლების აშენებისა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ შეკრება სრულის ცნობებისა ამ ქვეყნის შესახებ, თუ როგორ არის იქაურ აღმშენებელ საზოგადოებათა ყოფა-მდგომარეობა დღეს. ჩვენა გვაქვს ცნობები, რომელიც შეეხება 1879 წელს. ამ წელს ინგლისში ითვლებოდა ათას ასი ცალკე საზოგადოება სახლების აღმაშენებელთა. ამ უშველებელ რიცხვიდგან ჩვენ ვიცით ანგარიში მხოლოდ 876 საზოგადოებისა, სხვა საზოგადოებათა შესახებ-კი ვერ ჩავიგდეთ ხელში ანგარიში და არც იმ წიგნშია, რომელიც ზევითა გვქონდა მოხსენებული. 876 საზოგადოებას ჰყავდა, ამ ცამეტის წლის წინად, სამას ოცი ათასი წევრი და მათი შეძლება აღემატებოდა ორას ოთხმოც მილიონ მანეთს. რაღა თქმა უნდა, რომ დღეს ხსენებულ საზოგადოებათა რიცხვი ერდი ორად მაინც მეტი უნდა იყოს და მათი თანხაც გაბევრებული, რადგან ფული 5°/₀ სარგებელს იძლევა და საზღვარ-გარედ-კი ისე იაფია ფული, რომ 3°/₀ სარგებელს სიხარულითა სჯერდება იქაური კაცი. მარტო ლონდონში ამ საზოგადოებათა დახმარებით შეუძენიათ მუშებს მამულები, რომელთა ფასი თითქმის სამოც და ექვსი მილიონი მანათია, ხოლო მუშათა რიცხვი, რომელთაცა ჰრგებიათ დახმარება, შეადგენს 29,643 სახლობას, ანუ 146,809 კაცს.

აქამომდე ხსენებულნი საზოგადოებანი თითონ აშენებდნენ სახლებს და შემდეგ უმტკიცებდნენ მუშებს. ეხლა-კი თანდათან იადვილებენ საქმეს იმითი, რომ სარწმუნო მუშებს აძლევენ ფულს მამულის სასყიდლად და ზედ შენობის გასაკეთებლად, ე. ი. მხოლოდ ფულით უმართავენ ხელს, სახლების გაკეთება-კი მუშათა თაოსნობაზეა გადატანილი.

გარდა ინგლისისა, ამავ გზას დაადგნენ საფრანგეთი, გერმანია, დანია და სხვა სახელმწიფონი. აი, დღეს გენერალ ანენკოვის თაოსნობით ჩვენმა სახელმწიფო ხაზინამაც გადასდო ხუთი ათასი თუმანი, რომ ამ ფულით იმერ-კასპიის რკინის გზის მუშებმა გაიკეთონ პატარ-პატარა სახლები თავის ბაღჩებით და ფული წლიურადა სწყვიტონ ნელ-ნელა. უეჭველია, ასეთი მაგალითი მთავრობისა არ დარჩება უნაყოფოდ და რუსეთშიაც გამოჩნდებიან საზოგადოებანი, რომელნიც ითავებენ ასეთს ჩინებულს საქმეს, ხელს გაუმართავენ შეუძლებელს ხალხს და თითონაც სარგებლობასა ჰნახავენ.

ჩვენმა ქართველმა საზოგადოებამ-კი თითონ უნდა უშველოს თავისს თავს და სხვათა მაგალითი სასარგებლოდ გამოიყენოს თავისთვისაცა და საშვილიშვილოდაც. ყველა ჩვენგანმა უნდა როგორმე მოახერხოს ათი თუმანი და, ბანკის მაგიერ, შეიტანოს ჩვენს ახალს საზოგადოებაში ძირის ფულად, რომელიც უკვდავი დარჩება, თავის სარგებელი მუდამ ექმნება და ამასთანავე სახლის პატრონებადაც გვაჩვენებს ჩვენს ბოგანო თავსა. თუ-კი საზღვარ-გარეთ გარეშე კაცები ჩამოდიან თანხას, რომ შეუძლებელ მეზობლებს შეაძლებინონ და სახლის პატრონები გახადონ, ჩვენ რა დაგვემართება, რომ ჩვენს საკუთარს თავზედ არ ვინაღვლოთ და საქმე წინ არ წავიგდოთ!..

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებს, პირველნი უფრთხიან და ერიდებიან მთავრობის წარმომადგენლების სისუფთავეს და სიფაქიზეს და უკანასკნელნიც სოფლელების სიბინძურეს. ამიტომაც არის ნათქვამი: „ობოლი ობლის მტერია და ღმერთი ორივესიო“. ჩვენ და მთავრობის წარმომადგენლები, რომ ერთურთს არ ვერიდებოდეთ და მოსისხლე მტრებსავით ზიზღის თვალით არ ვუყურებდეთ, მაშინ შეერთებულის ძალით ბევრს რასმე კეთილს სხვას გავარიგებდით და ვერცარას ეს მომავალი ულმობელი მტერი დაგვაკლებდა. მე მოწამე ვარ იმისა, რომ რამდენჯერმე სოფლად მკურნალი მოსულა. აქ სამი ან ოთხი სნეული ყოფილა და სოფლის შიშით მკურნალი სნეულებთან არ მიუყვანიათ, ვაი თუ სოფელს ხარჯი რამ მოეხვიოსო; თუმცა სენიც რამ ჰქონია სოფელს მოდებული, მაინც სოფელს უარი უთქვამს, ჩვენში სნეულება არ არისო.

რწმუნდებიან თუ არა მკურნალებიც, ხალხის ასე დაუდევრობასა და გულ-გრილობას, ისინიც ზიზღის თვალით უყურებენ: „თუ ყმაწვილი არ შემოგვტირებს, ხელში ნუ ავიყვანთო“. ამას წინად რაღაც კომისია მოსულიყო ყაზბეგში და ხალხს არცკი გაეგო რა კომისია იყო, ზოგი იძახოდა მიწების მზომავები არიან, რადგანაც მიწის მზომავებსაც აქ კომისიას ეძახიან, ზოგი ნაგვების კომისიას ამბობდა. მიწები დაზომეს და ახლა ნაგვებს თუ ჰზომავენო. აი ამიტომაც იმ კომისიამ არც ერთი სოფელი არ ინახულა და ფოსტის სადგურიდგანვე უკან დაბრუნდა. განვიმეორებთ, რომ სოფელმაც უნდა თავის თავს უშველოს. წარსულს წელს რუსეთს დიდი უბედურება ეწვია მოუსავლობის გამო და მთავრობა დღემდის გაცხარებული იბრძვის შიმშილის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ-კი სიკვდილი და შიმშილიც ორივე კარზედ მოგვდგომია და ნუ თუ ჩვენთვის-კი ყურები არ უნდა გამოვიბღერტოთ? ყველა სოფელში მოიპოვება თითო ოროლა, თუ დიდად ნასწავლი არა, ცოტაოდნად ქართულ-რუსულის წერა-კითხვის მცოდნე კაცი მაინცა, ყველა სამრევლოში და სასოფლო საზოგადოებაში არიან: მღვდელნი, დიაკვანნი, სასოფლო მწერალნი, მოხელენი, მედუქნენი და გავლენიანი სოფლის წარმომადგენელნი. ამათ შეუძლიანთ, თუ-კი მთავრობა უსასყიდლოდ დაგვახმარებს წამლებს და ქართულად დაბეჭდილს დარიგებებს, მკურნალებზედ ნაკლებს სარგებლობას არ მოუტანენ ხალხს. მთავრობას შეუძლიან, რომ ეხლავე ყველა საზოგადოებაში დაგზავნოს, თუ ექიმები არა, ფერშლები მაინც და მასთან ბლომად წამლები და თუ თავის მხრით არა, თვით ხალხის ხარჯით მაინც დაგვიარსოს ყველა საჭირო დაწესებულება, თორემ ხალხი ყოველივე ამას გვიან მოახერხებს და ხოლერა-კი, რაღა თქმა უნდა, მოცდას არ ინებებს.

ამ ჟამად რაც შეეხება ჩვენის მთის ხალხის მდგომარეობას: მთიულეთი, ხევი და გუდამაყარი საკმაოდ მომზადებულია მარტო სასანიტარო წესის მხრით და ძალიან გულადათაც არიან ხოლერის წინააღმდეგ, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ მთის წყალი და ჰაერი აქ ხოლერას დიდს კეთილს არ დააყრის. მაგრამ თუ სახეში ვიქონიებთ, რომ ხორაშნელა ადრევაცა სწვევია ჩვენს მთასა და ხალხისთვის მუსრი გაუვლია, რასაც გვიმტკიცებს ძველი და პირამდე ამოვსებული აკალდამები კაცის ძვლითა, რომელსაც დღესაც ჭირიანობის ნახოცის ხალხის აკალდამებს ეძახიან. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღე მუდამ მიდის და მოდის ამ საქართველოს სამხედრო გზაზედ ყველა მილეთის ხალხი და ღამე ყველა ფოსტის სადგურებსა და სავაჭრო ეზოებში იძინებს ხოლერიანს ადგილებში ნამყოფი ხალხი და ადვილად მოსალოდნელია, რომ გზებში იჩინოს თავი ამ სენმა და დიდი უბედურებაც დაჰმართოს ხალხსა. ამისათვის საჭირო არის ეხლავე, თუ ყველა სოფელში არა, ფოსტის სადგურებში მაინც ყველგან ჩაყენებულნი იყვნენ ექიმები, თორემ უწინ აქ იჩენს თავს ხოლერა.

ა. კობაიძე

---

**სოფ. კნოლევი** (გორის მაზრა), 5 ივლისი. თუმცა ჩვენს ფრონის ხეობას ჯვარი სწერია, საკმაოდ მაღალი მდებარეობა აქვს და მას ზემოდამ დასცქერის უშველებელი მთა, შემოსილი თვალ-მიუწვდენელ ტყეებით, მაგრამ სიბრთხილეს მაინც თავი არ ასტკივა, რომ ხოლერამ აქეთკენაც ფეხი არ შემოდგას. ჯერ ამ ზამთარსვე მოლაპარაკება ჰქონდათ თავადაზნაურობას ფრონის ხეობისას, რომ გამოიღონ კომლზე რამდენიმე მანეთი და შეადგინონ იმოდენა თანხა, რომ ერთის ექიმის მოწვევა და შენახვა შესაძლებელი შეიქმნეს. ჩვენს ხეობაზედ და ახლო-მახლო თითქმის 50 კომლი თავადიშვილი სცხოვრობს, ახლა ამოდენა აზნაურობა; არც შეძლებული და კარგად გაკეთებული გლეხ-კაცობაა ნაკლებად. თვით სოფლის საზოგადოებაც დახმარებას აღმოუჩენს ამ საქმეს ფულითაცა და თავიანთ ნაწარმოებითაც. მაგრამ, საუბედუროდ, ამ ჩინებულმა აზრმა ბევრი აგვალაპარაკა და, როგორც ყოველივე ჩინებული აზრი ჩვენში, ესეც დღემდე მხოლოდ აზრად დარჩა და მისი აღსრულება არსადა სჩანს. მეტადრე ეხლა რა დიდი ნუგეში იქმნებოდა ჩვენთვის საკუთარი ექიმი! იგი მარტო წამლობით-კი არ მოგვიტანდა შვებას, არამედ საგრძნობელს სამსახურს გაგვიწევდა მითი, რომ საცა უსუფთაო და უფრო საშიში ადგილებია ჩვენში, გაგვაფთხილებდა და სისუფთავეს ჩამოაგდებდა. წარმოიდგინეთ ჩვენი უცოდინარობა და დაუდევნელობა: რაოდენა წყაროებია ჩვენსკენ, რომ სადაც წერაქვს დაჰკრავ, წყაროს წყალს მიადგები, და ამ დროს თვით სოფ. ზემო და ქვემო ოქონაში მოშეტებული ნაწილი ფშის წყალსა ჰსვამს, რომელიც ასე საშიშია ყოველთვის და მეტადრე ხოლერობის დროს. იქვე ჩინებული წყაროებია, მაგრამ იმოდენა თაოსნობა არ არის, რომ ეს წყაროები ჯეროვანად გამოითხაროს და ამოიწმინდოს. ოქონასთანვე ახლო მდებარეობს პატარა სოფელი სუნისი, სადაცა სცხოვრობს 15 კომლი კარგად შეძლებული გლეხი. აქ ამოჩუხჩუხებს სანაქებო წყარო, ჩინებული სასმელად და თანაც მინერალური, ასე რომ ხალხი იკურნება კიდეც სხვა-და-სხვა სენისაგან. ეს ბედნიერება სოფლისა ისე თავმინებებულია, რომ წყაროში, რომელიც ამოთხრილ ორმოდამ ამოდის, ჩაცვივდებიან ხოლმე ღორები, კატები, ქათმები და ყოველივე ესე ხშირად შიგ იხრწნება და აფუჭებს წყალსა. შარშან შიგ ერთი ყმაწვილიც ჩაირჩო. ამას წინად სოფლელები მოურიგდნენ კიდეც ხელოსანს, რომ შესაფერად მოეწყო და გაეკეთებინა ეს ჩინებული წყარო. სოფელი შეჰპირდა ექვს თუმანს ფულს და როცა საქმე საქმეზედ მიდგა, სოფელმა უმტყუნა ხელოსანს, და ეს წყარო კვლავინდელ ყოფაში დარჩა. კარგს იზამდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ ამ ხოლერობის დროს მაინც გაემხნევებინა ხალხი და სასმელი წყლები მაინც გაესუფთავებინა.

აქაური თავად-აზნაურობა ძრიელ ბეჯითად ეკიდება სოფლების გასუფთავებას. კარგი იქმნებოდა, რომ მცოდნე ყმაწვილ-კაცობას მიეღო მონაწილეობა ხალხის დახმარებაში და რამდენიმე სასანიტარო კომისია შეედგინა ამ ხეობაზე. უფრო-კი სასიამოვნო იქმნებოდა, რომ არა თუ მარტო ამ ხეობაზედ, არამედ მთელს საქართველოში გამოეჩინა ჩვენს ნასწავლ ყმაწვილ-კაცობას ქვეყნის მზრუნველობის ნიჭი და ხალისი, როგორათაც იჩენს ხალისს მხიარულებისა და ქეიფისას. დე, როცა ქეიფის დროა, იქეიფოს საქართველოს ხალხის ნაწვავ-ნადაგით; მაგრამ როდესაც ასეთი მწვავე ბედი ატყდება თავს სამშობლოს, მაშინ ყველა, ვისაც-კი ცოტაოდენი ესმის რამ, მოვალეა დაეხმაროს ქვეყანას თავისის ცოდნით, მხნეობით და გამოიჩინოს სიყვარული ხალხისა.

დასამთავრებლად ფრონის ხეობის ამბებისა უნდა აღვნიშნო შემდეგი: ამ ხეობის თავში, მთის კალთებზედ, გაშენებულია ათამდე პატარ-პატარა სოფელი — ძაღინა, ლისა, ოჟორა, ჩრდილი და სხვანი. ამ სოფლებს არა აქვთ საკუთარი ეკკლესია, მიწერილნი არიან ზოგნი თილვის ეკკლესიაზედ, ზოგნიც ახალშენისაზედ. ეს ეკკლესიები კარგა მოშორებული არიან ძათზედ და გლეხ-კაცობა ვერ ახერხებს დაესწრას წირვა-ლოცვას, რაიცა მას ძლიერ აღონებს. ეხლა ამ სოფლების მცხოვრებნი დიდს ალებ-დალებაში არიან, როგორმე შუაგულ ადგილას მოახერხონ აშენება პატარა ეკკლესიისა, რომ იქ ხანდახან მაინც სწირონ ჯერ-ჯერით ხან თილვის მღვდელმა, ხან ახალშენისამ. ხალხი კისრულობს კომლზედ თითქმის თუმნის გამოღებას, რომ როგორმე ასეთი ეკკლესია მოიგვაროს და სთხოვოს სასულიერო მთავრობას ნება-რთვა მისის აშენებისა. როგორც ისმის, თილვისა და ახალშენის სამღვდელოება ხელს უმართავს ხალხს ამ საქმეში და იქნება კიდეც ითავოს მისს სურვილის აღსრულება.

ფ.

---

# რუსეთი

## უწესოება ასტრახანში

მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა 21 და 22 ივნისს ასტრახანში მომხდარ უწესოების შესახებ, გაზეთ „Астр. Вѣд.“-ში დაბეჭდილი:

„საშინელი დღეები გამოვიარეთ ასტრახანის მცხოვრებლებმა...

21 ივნისს ქალაქში უცბად ხმა გავარდა: „კრიუშანელები უწესოებას ახდენენ“...

ხალხი ათასობით გაექანა კრიუშისკენ, საცა ალაგ-ალაგ აღელვებული ხალხი შეგროვილიყო. უწესოება იმითი დაიწყო, რომ სემიკოვის მოედანზედ ერთი ქალი გახდა ხოლერით ავად. მკურნალი ფერშლითურთ გაეშურა ამ ქალის საშველად. ჯერ ბოტკინის კაპლი დაალევინეს, შემდეგ სადგური სადეზინფექციო წამლებით უნდა ეპკურებინათ. ერთბაშათ სახლს ხალხი მიაწყდა და ყვირილი დაიწყეს „ხალხსა სწამლავენ, არიქა, სცემეთ მაგათაო!“

სადგურთან ეტლი იდგა. ხალხმა დაინახა ეს ეტლი და იმ წამსვე დაამსხვრია. ერთმა კაცმა დაიძახა: „რას სჩადიხართ, მაგ ეტლით ივადმყოფი უნდა წაიყვანონ, დაწყნარდით, ნუ ამტვრევთო“. ხალხმა ყვირილი დაიწყო: „ეგ ფერშალია, სცემეთ მაგას“.

ამას შემდეგ ხალხის ბრბო ქალაქისკენ გაეშურა. ერთი ცხენოსანი დარაჯი წინ გადაეღობა ხალხსა. ხალხი მივარდა და ცხენიდგან უნდა გადმოეგდო. დარაჯმა გაჰქუსლა. აღელვებული ხალხი, სუფთად ჩაცმულს კაცს რომ შეხვდებოდა, ყვირილს დაიწყებდა ხოლმე: „ეგ ექიმი უნდა იყოს, ეგენი გვისპობენ სიცოცხლეს“. გუბერნატორს იმ წამსვე შეატყობინეს, უწესოება მოხდაო. მალე მის მიერ გამოგზავნილი ყაზახები მოვიდნენ და, როგორც იყო, ხალხის ბრბო გაჰფანტეს.

ხალხი გაიფანტა, ცალკ-ცალკე დასებათ შეგროვდა და ყაყანი დაიწყეს: «მოდით, სამკურნალო დავანგრიოთ, არაფერი ხოლერა არა არის ჩვენში... ხოლერა მკურნალებმა მოიგონესო“ დავანგრიოთ სამკურნალო და ხალხი გავანთავისუფლოთ“... ყაზახები ხალხს ამშვიდებდნენ.

3 საათზედ ხალხი სამკურნალოს შენობასთან შეგროვდა. სამკურნალოს ეზოში 30 დურგალი მუშაობდა ხოლერიან ავადმყოფთათვის შენობის ასაგებად. ხალხმა „უბრძანა“, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ, მუშაობას თავი დაანებეთ და წადით აქედგანაო“. მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას და დაიმალნენ.

ერთბაშად ხმა გავრცელდა: „ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალოს ანგრევენ... ავადმყოფნი გააქვთ“... მთავრობა და აუარებელი ხალხი სამკურნალოსკენ გაეშურა. აღმოჩნდა, რომ აღელვებული ხალხი მართლა სამკურნალოში შევარდნილა, მოსამსახურეთათვის უცემია და ხოლერიანი ავადმყოფნი გამოუყვანია.

გავრცელდა ხმა: „აი, თუ ტყუილია, რომ ექიმები ცოცხლებსაც მარხავენ“. უგუნური ხმები ხალხმა დაიჯერა და მეტად აღელდა.

(დასასრული ხვალ)

---

# წვრილი ამბავი

უცნაური და მეტად ბედნიერი ახალშენი იმყოფება თურმე კუნძულს პიტკერნში, რომელიც დიდ ოკეანეს შუა მდებარეობს. ამ რესპუბლიკის ავ-კარგიანობის ამბავი ევროპამდე მხოლოდ 5—6 წლის შემდეგ მოაწევს ხოლმე. ამ ასიოდე წლის წინად ხომალდის „Bounty“-ს მოსამსახურენი აჯანყდნენ და მათდა დასასჯელად ისინი გადმოსხეს პიტკერნში, სადაც დიდის სიამოვნებით დარჩნენ დასახლდნენ, რადგან ეს კუნძული მეტად ნაყოფიერი და მდიდარი კუნძულია. ასე უცნაურად დაარსებულსა და შექმნილს ახალშენში ამ ჟამად 300-მდე სული სცხოვრობს. მცხოვრებლნი ინგლისურად ლაპარაკობენ, განათლებისა და ცივილიზაციის განვითარებას თვალ-ყურს კარგად ადევნებენ და ისევე განშორებულნი არიან დანარჩენს ქვეყნიერობას, როგორც რობინზონი იყო თავისს კუნძულზედ. ყველა პიტკერნელები ხეხილის ნაყოფითა და ნადირით იკვებებიან. თუმცა ფული მოეძევებათ, მაგრამ ფულს იმათს რესპუბლიკაში ფასი და გასავალი არა აქვს. ყოველივე მორიგება და ვაჭრობა იქ საქონლისა და ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლითა სწარმოებს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რომელისამე უცხო სახელმწიფოს ხომალდი გაჩერდება ამ კუნძულთან და მაშინ კუნძულელები თავისის ფულით ყიდულობენ წიგნებსა, ტანისამოსსა და იარაღს. მბრძანებელი ამ კუნძულზედ პრეზიდენტია, რომელიც სულ ერთის წლით არის ამორჩეული და რომელსაც „სახელმწიფოს პირველი კაცი“ ეწოდება. ამ „პირველს კაცს“ დიდს პატივსა სცემენ, მაგრამ როდესაც ვადა უთავდება სამსახურისა, ანგარიშს ჩამოართმევენ ხოლმე და ერმა უნდა გადასწყვიტოს, რიგიანად თუ ურიგოდ ჰმართავდა სახელმწიფოს, სამართლიანი იყო თუ არა და ქებისა და მოწონების ღირსია, თუ გაკიცხვისაო. ამ კუნძულზედ ისეთი მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრებაა, რომ ყველა მოქალაქენი ამა პაწია რესპუბლიკისანი უფრო ბედნიერად სთვლიან თავს, ვიდრე უბედურად.

— ძაღლებსაც ეღირსათ თავისი მფარველი და „ძაღლების ინტერესების“ წარმომადგენელი, საფრანგეთის პალატის წევრი ლაგერრი, რომელმაც თავისი ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ საფრანგეთში ძაღლებს დიდად ურიგოდ ეკიდებიანო. მინისტრმა ლუბემ თავისს საპასუხო სიტყვაში სთქვა, რომ მთავრობა უკვე იმის ზრუნვას შეუდგა, რომ ძაღლების მდგომარეობა გააუმჯობესოსო.

---

# დეპეშა

5 ივლისი

**პეტერბურგი.** საექსპერიმენტალო მედიცინის ინსპექტორი შემდეგს ნენცკის სადეზინფექციო საშუალების ხმარებას ურჩევს ყველას: აიღეთ ერთი ნაწილი არყნისა, ანუ ფიჭვის ხის კუპრისა, ორი ნაწილი წყლისა და ერთ ნახევარი ნაწილიც ნაცრისა. ყოველივე ეს ერთად შეურიეთ და რვა ნაწილი წყალი დაასხით. ეს ნარევი 1/2 საათის განმავლობაში იყოს დამდგარი და როდესაც ქვიშა დაილექავს, კუპრის წყალი სხვა ჭურჭელში უნდა გადაასხათ. ეს წამალი ძალიან სწრაფადა ჰკლავს ხოლერის ბაქტერიასაო.

სატარიფო კომისიამ შემცირებული ტარიფი დაადგინა შაქრის საზიდავად სამხრეთ რკინის გზებიდგან ამიერ-კავკასიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8,05 | 8,09 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 161 | 161¾ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | 1,02 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 235¼ |
| —მეორისა . . . | — „ | — „ | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | 192½ | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | — „ | 99,62 |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — „ | — „ | 102½ |
| 5% . . . . . . | 99 2 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¾ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

დიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეიღლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ყრიმსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

# განცხადებანი


საკომერციო კურსები

(ტფილისი ძმის ქუჩა, № 9)

ამით ვაცხადებ, რომ ამა წლის ივნისში ეს მეათედ შეასრულეს სპეციალური საკომერციო სწავლა მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ, და მიეცათ კიდეც ჯეროვანი მოწმობანი. ვისაც სურს საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამსახურში მიიწვიოს, შეუძლიან მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს.

საკომერციო კურსებში მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდგან. პროგრამისა და კურსების წესდების მიღება და დაბარება შეიძლება კურსების სადგომიდგან და ძმათა წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ПРИДВОРНЫЕ ПОСТАВЩИКИ

А. РАЛЛЕ и К°

НОВОСТИ! ПРИДВОРНЫЕ ДУХИ ПРИДВОРНОЕ МЫЛО ПРИДВОРНАЯ ПУДРА

ЦВѢТОЧНОЕ ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.

НОВОСТИ! ДУХИ БѢЛЫЙ ИРИСЪ ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ ЛАНДЫШЪ.

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

ЯИЧНОЕ МЫЛО, ИЗОБРѢТЕННОЕ НАМИ ВЪ 1846 Г.



МЫЛО КАЗАНЛЫКСКАЯ РОЗА.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 Г.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 Г.

О-ДЕ-КОЛОНЪ ДИСТИЛИРОВАННЫЙ НА ЦВѢТАХЪ ВСЕВОЗМОЖН. ЗАПАХОВЪ.

СПЕЦІАЛЬНО ИЗГОТОЛЕННОЕ ДѢТСКОЕ МЫЛО СЪ ГЛИЦЕРИНОМЪ

БАРХАТНАЯ ПУДРА ХОРОШО ПРИСТАЮЩАЯ НЕЗАМѢТНАЯ НА ЛИЦѢ.

А. РАЛЛЕ и К°

ПРОИЗВЕДЕНІЯ НАШИ ПРОДАЮТСЯ ВО ВСѢХЪ ПАРФЮМЕРНЫХЪ и АПТЕКАРСКИХЪ МАГАЗИНАХЪ РОССІЙСК. ИМПЕРІИ.

(12—11)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემსგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—25)

წ ა რ მ ო ე ბ ა

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს; ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს. (15—14)

მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჰრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები სავაჭრო სახლი:

ბენდერ და სტეფანოვი

(35—56—33)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 7-го Іюля 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე